



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №33/924-11

16 აგვისტო, 2012 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - თეა შიმისტარაშვილი

სხდომის მდივანი - ბეატრიქე პაპანდოპულოვი

აპელანტი – ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა";

აღმასრულებელი დირექტორი - ნინო გუჯარაიძე;

წარმომადგენელი - ირმა მახათაძე

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს მთავრობის კანცელარია;

წარმომადგენელი - ირაკლი კოპალიანი;

მესამე პირი - საქართველოს მთავრობა;

წარმომადგენელი - ირაკლი კოპალიანი;

დავის საგანი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილება;

1. აპელანტის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება

და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილებით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელი მოპასუხე საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიმართ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 და 2011 წლის 10 ივნისის №25/57 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425 და №431 განკარგულებების ასლების, მათი მიღების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების (განმარტებითი ბარათები და/ან სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ განკარგულებების გამოცემის შესახებ), ასევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №416, 2010 წლის 30 მარტის №417 და 2010 წლის 10 აპრილის №432 განკარგულებების მიღების აუცილებლობის დასასაბუთებელი დოკუმენტების ასლების მოსარჩელისათვის გადაცემის დავალების თაობაზე - არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" 2011 წლის 4 აპრილს განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის სახით საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425 და №431 განკარგულებების ასლების, მათი მიღების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების (განმარტებითი ბარათები და/ან სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ განკარგულებების გამოცემის შესახებ) და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №416, 2010 წლის 30 მარტის №417 და 2010 წლის 10 აპრილის №432 განკარგულებების მიღების აუცილებლობის დასასაბუთებელი დოკუმენტების ასლები.

2.2. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიის გადაწყვეტილება ეცნობათ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით.

2.3. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის უარი (გადაწყვეტილება) 2011 წლის 13 მაისის ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობაში და მოითხოვა 2011 წლის 4 აპრილის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

2.4. საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის 2011 წლის 10 ივნისის წერილით საჩივრის ავტორს საჩივარი დაუბრუნდა განუხილველი იმ საფუძველით, რომ მასში დასმულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება, ამასთან, მოცემულ საკითხზე საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიღებული ჰქონდა შესაბამისი გადაწყვეტილება.

სასამართლომ განმარტა შემდეგი:

2.5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს – განახორციელოს ეს მოქმედება.

ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანის კანონისმიერი პირობა კუმულატიურია: უარი უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო და უნდა ლახავდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამავდროულად, სასამართლო მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი – შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს უარის (თუ ის ასახულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში) კანონიერება, თუ აღძრულია სარჩელი ამ უარის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უარი - 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

მითითებული აქტით მოსარჩელეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ მის მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიას უკვე მიღებული ჰქონდა 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებაც, მსგავსად 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილისა, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ არ მომხდარა საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, რომელიც შემდგომში საფუძველად დაედო 2011 წლის 15 აპრილის სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, გასაჩივრება, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას შეეფასებინა და დაედგინა, იყო თუ არა მოპასუხის ფაქტობრივი უარი, ასახული სადავო აქტებში, უკანონო, რაც თავისთავად გამორიცხავდა ქმედების განხორციელების შესახებ წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებას.

2.6. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს, საჩივრის განხილვაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სარჩელზე მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ მოსარჩელისთვის საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425, №431, №433 განკარგულებების, მათი გამოცემის აუცილებლობის დამადასტურებელი განმარტებითი ბარათებისა და 2010 წლის №416, №417, №432 განკარგულებების განმარტებითი ბარათების გადაცემის შესახებ. ასევე, დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, რომლის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, უდავოა, რომ 2011 წლის 10 ივნისისთვის (სადავო აქტის გამოცემის დროისთვის) უკვე არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა აღნიშნული ვერ გახდებოდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საკმარისი საფუძველი, ვინაიდან, სადავო აქტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა 182-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ საჩივარში დასმულ საკითხზე (საჯარო ინფორმაციას გაცემასთან დაკავშირებით) საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიღებული ჰქონდა შესაბამისი გადაწყვეტილება (2010 წლის 10 სექტემბრის №№24/140 გადაწყვეტილება), რომელიც არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილშიც უსაფუძველო იყო და არ დაკმაყოფილდა.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

ფაქტობრივი საფუძველები:

3.1. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის #25/57 წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიღებული აქვს

შესაბამისი გადაწყვეტილება, რაზედაც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ეცნობა 2010 წლის 10 სექტემბრის #24/140 წერილით. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენასთან ერთად სასამართლოს აუცილებლად უნდა დაედგინა ფაქტობრივი გარემოება, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიამ 2010 წლის 10 სექტემბრის 24/140 წერილით, რაც სასამართლომ, განსახილველ შემთხვევაში, არ განახორციელა.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის საოქმო სამმართველოს უფროსის 2010 წლის 10 სექტემბრის 24/140 წერილით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ განემარტა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის განკარგულებისა და მათი მიღების აუცილებლობის დასასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლებთან დაკავშირებით შეუძლიათ მიმართონ იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებმაც განახორციელეს აღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება. ამდენად, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ განმცხადებელს მისცა რეკომენდაცია, რჩევა მისთვის საინტერესო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოპოვების ალტერნატიული გზების თაობაზე, რაც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ შეასრულა და რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის გაცემის (გაცემაზე უარის) შესახებ. სასამართლოს მიერ ამ ფაქტობრივი გარემოების საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გამოკვლევასა და დადგენას საქმეზე აუცილებლად მოჰყვებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

3.2. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დაადგინა საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება, რომ 2011 წლის 04 აპრილს, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, საქართველოს მთავრობის კანცელარიისაგან მოითხოვდა საჯარო ინფორმაციას განსხვავებული საფუძვლით, რაც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2011 წლის 04 აპრილის განცხადებით არის დადასტურებული. კერძოდ, საქართველოს მთავრობის კანცელარიის საოქმო სამმართველოს უფროსის ზემოაღნიშნული რჩევების გათვალისწინებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვა შესაბამისი განკარგულებები და მათი მიღების აუცილებლობის დასასაბუთებელი დოკუმენტაციის ასლები. რამდენიმე უწყებამ სრულად, ნაწილმა არასრულად მიაწოდა მოსარჩელეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. წინამდებარე სარჩელით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოსარჩელისთვის ადმინისტრაციულ ორგანოებს არ მიუწოდებიათ, რის გამოც ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ 2011 წლის 04 აპრილს კვლავ მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიას და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია, რომლის გადმოცემის ვალდებულება წარმოადგენდა სწორედ საქართველოს მთავრობის კანცელარიის და არა საქართველოს მთავრობის კომპეტენციას.

სამართლებრივი საფუძვლები:

3.3. სააპელაციო საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „ა, ბ, გ“ და 394-ე მუხლის „ე და ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოეყენა

კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი; გადაწყვეტილეს იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული; გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

3.4. სასამართლომ ასევე დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია შემოფარგლულია საქართველოს საკანონმდებლო ნორმების აღწერით, ისე, რომ მასში ასახული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული სამართლებრივი შეფასებები.

3.5. ამასთან, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება.

3.6. სააპელაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102.2 მუხლი, რომლის თანახმად განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, რომელიც განაპირობებს განმცხადებლისთვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 102.2 მუხლი, რომლის თანახმად თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. განსახილველ შემთხვევაში ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2011 წლის 04 აპრილის განცხადება შეიცავდა მითითებას ახალ გარემოებებზე, რაც გახდა საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის ამ განცხადებით მიმართვის საფუძველი. მიუხედავად ამისა ადმინისტრაციულმა ორგანომ ზემოაღნიშნული ნორმის დარღვევით განცხადების განუხილველად გამოსცა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმ საფუძველით, რომ უკვე არსებობდა

საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ 2010 წლის 10 სექტემბერს #24/140 წერილით მიღებული გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო სასამართლომ აღნიშნულის გამო საერთოდ არ შეამოწმა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და შესაბამისად ჰქონდა თუ არა ადგილი ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სუბიექტური უფლების რეალიზაციას, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მოთხოვნები.

3.7. აპელანტის მითითებით, საგულისხმოა, რომ გასაჩივრებული საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 10 ივნისის #25/57 წერილის გამოცემის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, რომელიც სასამართლოს მიერ იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო წარმოებაში საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ არსებობს და, უარყოფილი იქნა.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სააპელაციო პალატა სრულად ეთანხმება იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს, აგრეთვე დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის ფარგლებში დამატებით განმარტავს შემდეგს:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" 2011 წლის 4 აპრილს, საჯარო ინფორმაციის სახით, მოითხოვა საქართველოს მთავრობის 2010

წლის №415, №418, №420, №421, №424, №425 და №431 განკარგულებების ასლები მათი მიღების აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები (განმარტებითი ბარათები და/ან სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ამ განკარგულებების გამოცემის შესახებ) და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №416, 2010 წლის 30 მარტის №417 და 2010 წლის 10 აპრილის №432 განკარგულებების მიღების აუცილებლობის დასასაბუთებელი დოკუმენტების ასლები. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 15 აპრილის №25/57 წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის კანცელარიის გადაწყვეტილება ეცნობათ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილით. აღნიშნული წერილის თანახმად, ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ეცნობა, რომ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით უნდა მიემართათ იმ სამინისტროებისათვის და უწყებებისათვის, რომლებმაც განახორციელეს აღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია მოპასუხის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 წერილი.

სააპელაციო პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან, მოსარჩელის მიერ არ მომხდარა საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2010 წლის 10 სექტემბრის №24/140 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, რომელიც შემდგომში საფუძველად დაედო 2011 წლის 15 აპრილის სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, გასაჩივრება, სასამართლო ვერ შეაფასებს და შესაბამისად ვერ დაადგენს, უკანონო იყო თუ არა მოპასუხის ფაქტობრივი უარი, ასახული მითითებულ სამართლებრივ აქტებში.

საქმის მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 17 მარტის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სარჩელზე მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ მოსარჩელისთვის საქართველოს მთავრობის 2010 წლის №415, №418, №420, №421, №424, №425, №431, №433 განკარგულებების, მათი გამოცემის აუცილებლობის დამადასტურებელი განმარტებითი ბარათებისა და 2010 წლის №416, №417, №432 განკარგულებების განმარტებითი ბარათების გადაცემის შესახებ. ასევე, დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინება მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, რომლის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. რაც შეეხება გასაჩივრებული საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის 2011 წლის 10 ივნისის №25/57 წერილით, საჩივრის ავტორს საჩივარი დაუბრუნდა განუხილველი იმ საფუძველით, რომ მასში დასმულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში

მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება, ამასთან, მოცემულ საკითხზე საქართველოს მთავრობის კანცელარიას მიღებული ჰქონდა შესაბამისი გადაწყვეტილება.

პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად შეაფასა, რომ 2011 წლის 10 ივნისისთვის (სადავო აქტის გამოცემის დროისთვის) უკვე არ იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი, თუმცა აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საკმარის საფუძველს, ვინაიდან, სადავო აქტის მიღების სამართლებრივ საფუძველს ასევე წარმოადგენდა 182-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად აღნიშნა, რომ სასამართლო მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს უარის (თუ ის ასახულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში) კანონიერება, თუ აღძრულია სარჩელი ამ უარის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) ბათილად ცნობის მოთხოვნით.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

5.1. საპელაგო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთან, აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

6. საპროცესო ხარჯები

6.1. აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე, გადახდილია სახელმწიფო ბაჟი, 150 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში გადახდილად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

და ა დ გ ი ნ ა:

1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №27ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

მოსამართლე



თ. ძიმისტარაშვილი

